თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. თელავი 2024 წლის 17აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ეკატერინე ონიკაძე, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, გელა ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის **უფროსი ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ იზოლდა ჭყოიძეს არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი, ჰყავს ავადმყოფი მეუღლე და ორი შვილი, არის სოციალურად დაუცველი, ცნობის მიხედვით აქვს 75220 ქულა, განცხადებით ითხოვს სოფელ რუისპირში მდებარე 2817 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (საკ.კოდი 53.11.42.183) მდებარე160 კვ.მ. შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემას.

დავით ღაღანიძემ **დააყენა წინადადება,** რომ აღნიშნულ საკითხი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

დავით ღაღანიძეს წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ წინა კომისიის სხდომაზე დაყენებული იქნა წინადადება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის შესწავლის თაობაზე.

ზურაბ სახიაშვილმა ამასთან დაკავშირებით წარმოადგინა ინფორმაცია, რითაც გაირკვა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ბალანსზე სულ ირიცხება 15 ერთეული ტრანსპორტი, აქედან 2 არის მიკროავტობუსი, 2 მსუბუქი მანქანა საკრებულოს განკარგულებაშია, 4 ერთეული ამორტიზირებული მსუბუქი მანქანა შეტანილია საპრივატიზებო ნუსხაში, თუმცა ტრანსპორტზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით პერიოდულად ახდენენ ექსპლოატაციას.

ლევან ბერძენაშვილმა **დააყენა** წინადადება, რომ მერიის სამსახურების ტრანსპორტთან დაკავშირებით არსებული მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, მერიამ შესაბამის ორგანოებთან დააყენოს საკითხი ტრანსპორტის ლიმიტირებული რაოდენობის გაზრდის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

თ. ხ.